პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 16 (152) | ოთხშაბათი, 6 ივნისი, 1956 წ. გამოცემის მეხუთე წელი | ფასი 20 კაპ.

ფრიადოსნები

Δ

წარმატებით დაამთავრეს ზაფხულის საგამოცდო სესიები გეოგრაფიულ-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგიის სპეციალობის III კურსის სტუდენტებმა.

ამ კურსის ბევრმა სტუდენტმა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული ნაყოფიერი შრომის შედეგად სწავლის ფრიადოსნის სახელი დაიმსახურა.

სურათზე: გეოგრაფიულ-გეოლოგიის ფაკულტეტის III კურსის ფრიადოსანი სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ა. მაჭარაძე, ნ. ქარსაძე, მ. ლორთქიფანიძე და ბ. ჯანაშია.

გამოცდები დაიწყო

საგამოცდო სესიები მნიშვნელოვანი მოვლენაა უნივერსიტეტის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი პირველი დღე, პირველი გამოცდა.

სტუდენტები ღელავენ. მათ მშვენივრად გვესმით, რომ კარგი დასაწყისი ძალიან ბევრს ნიშნავს, იგია შემოწმებაც და სტიმულიც.

ღელავენ მასწავლებლებიც, რომელთაც სრულიადაც არ სურთ თირანების „ნაცნობი" სახეები იხილონ.

გამოცდები უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე ერთდროულად არ იწყება. მასში თანდათან ებმებიან ქიმიის, მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის და შემდეგ სხვა ფაკულტეტებიც.

ჩვენ მოკლედ დავახასიათებთ გამოცდების დაწყებას მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

პირველ ივნისს გამოცდებს ფაკულტეტის ოთხი კურსი აბარებდა. მართალია, ყველა სტუდენტი არ ჩაწერილა პირველ დღეს გასასვლელად, მაგრამ მაინც ბევრმა მათგანმა ჩააბარა ამ დღეს გამოცდა.

გამოცდები ტარდებოდა მათემატიკისა და მექანიკის სხვადასხვა დარგში, დიფერენციალურ განტოლებებში, ანალიზურ მექანიკაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, რუსულ ენაში.

1 ივნისს განსაკუთრებით გამოირჩეოდა III კურსი. გამოცდებს იბარებდნენ პროფ. ი. ვეკუა, პროფ. ე. წითლანაძე, და დოც. გ. ვეფხვაძე. სხვადასხვა აკადემიური ჯგუფების 61 სტუდენტიდან ამ დღეს გამოცდაზე გავიდა 51 კაცი. ამათგან 24 სტუდენტმა მიიღო „ფრიადი" შეფასება, დანარჩენებმა კი — „კარგი". ეს საუკეთესო შედეგია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი სტუდენტის გამოუცხადებლობას.

კმაყოფილია პროფ. ა. ხარაძე პირველკურსელთა პასუხებით. ყოველ შემთხვევაში პირველად გასულმა ოთხმა სტუდენტმა კარგი ცოდნა გამოამჟღავნა (სამი „ფრიადი" და ერთი „კარგი"). პირველი გამოცდა პირველ კურსზე — ეს მართლაც მოვლენაა! იმისათვის, რომ კარგად ჩააბარო იგი, მთელი წლის განმავლობაში სამაგალითო უნდა იყო. ვფიქრობ გარეშეა, რომ სწორედ ასეთები არიან თ. ყურაშვილი და ა. იგნატენკო!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დანარჩენი პირველკურსელებიც ასევე წარმატებით ჩააბარებენ გამოცდებს.

მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ „ორიანების" ჩაურევლად საქმე ვერ გადაწყდა. უსიამოვნო სურათია ამ მხრივ II კურსზე. აქ გამოცდებს იბარებდნენ პროფ. ა. ჩახტაური (დიფერენციალური გეომეტრია), დოც. ლ. მაღნარაძე (დიფერენციალური განტოლებანი) და დოც. პ. ზერაგია (მათემატიკური ანალიზი).

არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს სტუდენტებმა შ. ცხოვრებაძემ, გ. აფციაურმა, მ. პაპისმედოვმა. არც ისაა კარგი, რომ ხუთი სტუდენტი ამ დღეს გამოცდაზე არ გავიდა, თუმცა ჩაწერილი კი იყო სიაში. ვის არის დამნაშავე იმაში, რომ დასახელებულმა სტუდენტებმა მიიღეს „ორები"? ცხადია, ეს კითხვა ღიმილს იწვევს, მაგრამ მასზე პასუხი სრულიადაც არაა ძნელი საპოვნელად: დამნაშავე თვითონ სტუდენტები არიან. მათ თავის დროზე ცოტა იმუშავეს, ყურადღება არ გააკეთეს იმისათვის, რომ გამოცდაზე პირნათლად წარმდგარიყვნენ. ახლა მათ სწორი დასკვნები უნდა გააკეთონ აქედან და მომავალში მაინც აღარ უნდა გახდნენ სიზარმაცის მსხვერპლი.

კარგად მიმდინარეობდა გამოცდა პოლიტეკონომიაში (გამომცდელი დოც. ი. გურგენიძე) და რუსულ ენაში (გამომცდელი უფროსი მასწავლებელი ე. ხუციაშვილი).

როგორც საერთო ნაკლი, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ყველა ჩაწერილი სტუდენტი როდი გამოვიდა პირველ ივნისს გამოცდაზე. იბადება კანონიერი კითხვა: რატომ ეწერებოდნენ, თუ ჩაბარებას არ ფიქრობდნენ?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ფაქტს ყურადღება უნდა მიაქციოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ და გაარკვიოს მიზეზი მათი გამოცდაზე დანიშნულ დროს გაუცხადებლობისა.

დასასრულს, საჭიროა აღინიშნოს, რომ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანატმა და პარტბიურომ დიდი მუშაობა ჩაატარეს საგამოცდო სესიების მოსამზადებისათვის. კარგ შთაბეჭდილებას ახდენს „საგამოცდო ეკრანი", რომლის მეშვეობით შეიძლება გავიგოთ, თუ როდის შედგება ესა თუ ის გამოცდა, რა დღეს ჩააბარებს გამოცდას ესა თუ ის სტუდენტი, რა ნიშანი მიიღო გამოცდაზე უკვე გასულმა და სხვა.

ა. ოვანოვი,
ა. კვანტალიანი,
ვ. ხუსკივაძე.

მაღალი მომზადება გამოავლინეს

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე საგაზაფხულო გამოცდები ორგანიზებულად დაიწყო. გამოცდების პირველ დღეს, 2 ივლისს, საგამოცდოდ ჩაწერილი ყველა სტუდენტი დროზე გამოცხადდა. I კურსზე გერმანულ ენაში გამოცდას ატარებდნენ დოც. ნ. ქადაგიძე და უფროსი მასწავლებელი ლ. კურდიანი. გამოცდა წარმატებით ჩააბარეს ლიანა ბარამიძემ, ლამარა კანდელაკმა, ნანა კუპრაძემ, ინგა ეპიტაშვილმა, თამარ მერაბიშვილმა, რომელთაც დამსახურებულად მიიღეს ხუთები. 2 სტუდენტმა მიიღო შეფასება „კარგი" და ორმაც — „დამაკმაყოფილებელი".

II კურსზე რუსულ ენაში წერითი გამოცდა ჩაატარა დოც. ალ. მდივანმა. ბევრი სტუდენტი კარგად ფლობს რუსულ ენას და ამიტომ მაღალი ნიშნები დაიწერა. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ სტუდენტების ნაწერები, რომელთაც ხუთები დაიმსახურეს. ესენია: გ. ილურიძე, ც. გეგეშიძე და გ. კალანდაძე.

აღსანიშნავია გამოცდა ინგლისურ ენაში III კურსის I ჯგუფში, სადაც გამოცდას იბარებდნენ უფროსი მასწავლებლები ვ. ურუშაძე და თ. თუშმალიშვილი. გამოცდაზე იმ დღეს გასული შვიდი სტუდენტიდან 6 სტუდენტმა უმაღლესი შეფასება — „ფრიადი" დაიმსახურა, ერთმა — „კარგი". ლილი ბიწაძისა და ნელი ზამბახიძის ბრწყინვალე პასუხებმა გამომცდელთა შექება დაიმსახურა.

ჯ. ღვამიჩავა

პირველი გამოცდა

უკვე დაიწყო საგაზაფხულო სესიები. ჩვენი კურსის სტუდენტები დიდი ხანია ვემზადებოდით გამოცდების კარგად ჩაბარებისათვის და მართლაც I გამოცდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში წარმატებით ჩატარდა (გამომცდელი ა. კობაიძე).

გამოცდაზე საუკეთესო ცოდნა გამოამჟღავნეს სტუდენტებმა: ვ. ასათიანმა, ს. აბხეროვამ, გ. ჯიბლაშვილმა, დ. ტატუხაშვილმა, ე. რუსიამ, რ. ტყემელაშვილმა, ნ. კობახიძემ და სხვებმა. ისინი კარგად ამუშავებდნენ პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად საკითხებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებისა და პარტიის ზემდგომ ორგანოთა გადაწყვეტილებების საფუძველზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტუდენტთა პასუხებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალები კარგად იყო დაკავშირებული რიგ საპროგრამო საკითხებთან.

გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება არავის არ მიუღია.

პირველმა გამოცდამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სესიების მაღალ იდეურ დონეზე ჩატარების საწინდარი — ეს არის სტუდენტთა ენერგიული და თანმიმდევრული მუშაობა.

იმედია, უკეთესი მაჩვენებლებით შევხვდებით შემდეგ გამოცდებს და გავამართლებთ საბჭოთა სტუდენტის საპატიო სახელს.

ე. ბელაშვილი,
ქიმიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

ყველამ როდი ისახელა თავი

მიმდინარე საგამოცდო სესიების პირველ საგნად ფიზიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები (როგორც ქართულ, ისე რუსულ განყოფილებაზე) აბარებენ ჰიდროდინამიკას (გამომცდელი დოც. გ. ხუციშვილი). ორივე განყოფილებიდან 2 ივნისს გამოცდაზე გამოცხადდა 11 სტუდენტი, რომელთაგან 6 სტუდენტმა „ფრიადი" შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით მაღალი მომზადება გამოამჟღავნეს მირონსლავ კოლაჩმა და რობერტ ბაბლიძემ.

მირონსლავ კოლაჩი ოთხი წელიწადია ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოვიდა საქართველოში და ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობს. იმთავითვე მიიქცია მან ყურადღება, როგორც ულრესად ენარიანმა და მონდომებულმა სტუდენტმა. მიმდინარე საგამოცდო სესიებისათვის ის სერიოზულად ემზადებოდა. ამის მაჩვენებელია ის ხუთიანი, რომელიც მან 2 ივნისს ჰიდროდინამიკაში მიიღო.

თამარ მირზაშვილმა და ირა ქვრივიშვილმა გამოცდაზე დიდად ვერ ისახელეს თავი. მათ ცოდნას აკლდა სიღრმე, სიმტკიცე და ამიტომ იყო, რომ მათ გამომცდელმა სამიანები დაუწერა. რუსული განყოფილების სტუდენტები თამარ გორიუნოვა და ჯემალ შალიბაშვილი კი მოუმზადებელი მოვიდნენ გამოცდაზე და არადამაკმაყოფილებელი ნიშნებიც მიიღეს. მეოთხე კურსის სტუდენტი რომ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებს სპეციალურ საგანში, ეს მის უპასუხისმგებლობასა და დაუდევრობაზე ლაპარაკობს.

სასიხარულო წარმატება

სასიამოვნოა, როდესაც ლექტორი ღიმით ჩაგიწერს წიგნაკში კარგ ნიშანს. როდესაც გრძნობ, რომ მთელი წლის ნამუშევარს უქმად არ ჩაუვლია. სწორედ ასეთ სასიამოვნო გრძნობას განიცდიდნენ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები, რომლებიც დღეს აბარებდნენ პირველ გამოცდას რუსულ ენაში. მათ დღეს დაეწყოთ სესიები და უდრესად სასიამოვნო სწორედ ის იყო, რომ პირველი გამოცდა კარგი მაჩვენებლებით დაგვირგვინდა.

ექვსმა სტუდენტმა მიიღო უმაღლესი შეფასება — „ფრიადი", ოთხმა კი — „კარგი".

გამოცდის შემდეგ ლექტორი ა. სამსონია გულთბილად დაემშვიდობა სტუდენტებს შემოდგომამდე და სხვა გამოცდების ასევე კარგად ჩაბარება უსურვა.

გ. კოტეტიშვილი

ვიბრძოლოთ უკეთესი შედეგებისათვის

ჩვენს კურსზე გამოცდები პირველ ივნისს დაიწყო. გამოცდები მიმდინარეობდა სამ საგანში: მათემატიკურ ანალიზში (გამომცდელი დოც. პ. ზერაგია), დიფერენციალურ გეომეტრიასა (გამომცდელი პროფ. ა. ჩახტაური) და დიფერენციალურ განტოლებებში (გამომცდელი დოც. ლ. მაღნარაძე).

პირველი ორი დღის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი სერიოზულად ემზადება გამოცდებისათვის და ისინი მაღალ შეფასებას იმსახურებენ. დიფერენციალურ გეომეტრიასა და დიფერენციალურ განტოლებებში გამოცდებზე ჯერჯერობით არც ერთ სტუდენტს არ მიუღია სამიანი, ხოლო მათემატიკურ ანალიზში 13 სტუდენტის ცოდნა „ფრიადზე" შეფასდა. მაგრამ გამოცდაზე ყველა სტუდენტი ასე მომზადებული როდი მოდის. 2 ივნისს მათემატიკურ ანალიზს აბარებდნენ 42-ე და 43-ე აკადემიური ჯგუფების სტუდენტები. 42-ე ჯგუფიდან 8 სტუდენტი გამოვიდა გამოცდაზე. ამათგან მხოლოდ ორმა დაიმსახურა „ფრიადი", სამმა — „კარგი", ორმა — დამაკმაყოფილებელი შეფასება. 43-ე ჯგუფის სტუდენტებმა უკეთესი მომზადება გამოიჩინეს. 2 ივნისს გამოცდილი 6 სტუდენტიდან ორმა „ფრიადი" მიიღო, ხოლო ოთხმა — „კარგი". ამ დღეს ხელმძღვანელის მოწონება დაიმსახურა განსაკუთრებით კოტე პერტაიას პასუხმა. „ფრიადი" მიეცა მას.

ამ საგანში სუსტი მომზადება უჩვენეს სტუდენტებმა: შ. ცხოვრებაძემ, გ. აფციაურმა და თ. გოგოლაშვილმა. ეს უკანასკნელი მეორე წელია ამ კურსზე სწავლობს, მაგრამ მაინც წარმატებას ვერ იჩენს.

პირველი ორი დღის გამოცდების შედეგები ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ ყოველგვარი პირობები გვაქვს იმისათვის, რომ მეტ წარმატებას მივაღწიოთ. ჩვენი ხელმძღვანელები სრულიად სამართლიანად გვიყენებენ ჩვენ მაღალ მოთხოვნებს და უკეთეს შედეგებსაც მოელიან.

ო. ჯანელიძე

ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ერთ-ერთ საამქროში თავი მოუყრია 60-მდე სტუდენტს, რომლებიც ყურადღებით უსმენენ ქარხნის მთავარი ინჟინერის საინტერესო საუბარს საწარმოს მუშაობის პრინციპების, მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებისა და მიღებულ შენადნობთა მნიშვნელობის შესახებ, და თავიანთ რვეულებში ზოგიერთ ჩანაწერებს აკეთებენ.

ესენი ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის I და II კურსის სტუდენტები არიან, რომლებიც წარმოების პროცესების გაცნობის მიზნით აღნიშნულ ქარხანას ესტუმრნენ და ახლა მოუთმენლად ელიან ცალკეული საამქროების რთული, მაგრამ საინტერესო მუშაობის პროცესების საკუთარი თვალით ნახვას.

საუბარიც დამთავრდა და სტუდენტები ქარხნის დათვალიერებას შეუდგნენ. ქარხნის პირველ საამქროში ისინი დაწვრილებით გაეცნენ სარკისებური თუჯის, ფერომარგანეცისა და სხვათა მიღების ტექნოლოგიურ პროცესებს.

ახვა საამქროებში სტუდენტებმა გაიცნეს რაფინირებული და ელექტრორაფინაციის სველი წესით სუფთა მარგანეცის მიღების პროცესები.

ცალკეული საამქროების დათვალიერებამ და მათი მუშაობის გაცნობამ სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნა იმ გრანდიოზულ მუშაობაზე, რომელიც ამ ქარხანაში წარმოებს.

იმავე დღეს სტუდენტებმა დოც. ი. მეჯირისა და დოც. მ. ჩარექიშვილის ხელმძღვანელობით გეზი ქუთაისისაკენ აიღეს, სადაც მათ უნდა დაეთვალიერებინათ ქუთაისის საავტომობილო ქარხანა.

სტუდენტებმა ყურადღებით დაათვალიერეს აღნიშნული ქარხნის ცალკეული დეტალების დამამზადებელი საამქროები, რომლებიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არიან მოწყობილი და მეტად მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ექსკურსანტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ავტომანქანის საამწყობო საამქროების მუშაობის გაცნობამ, სადაც საოცარი სისწრაფით იწყობა სატვირთო მანქანები.

სასწავლო ექსკურსია, რომელიც ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატმა I და II კურსის სტუდენტებისათვის მოაწყო, შინაარსიანად ჩატარდა.

რ. კაკულია,
ლ. ჯახუტაშვილი

სურათზე: ექსკურსანტთა ჯგუფი ქუთაისის სადგურზე.

სერიოზულად მოვეკიდოთ საკურსო შრომებს

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული ფილოლოგიის კათედრაზე (გამგე პროფ. დ. კობიძე) მიმდინარეობდა საკურსო შრომების დაცვა. კათედრაზე IV კურსის სტუდენტი თ. გორელიშვილი. დიდხანს გადმოსცემს იგი თავისი თემის („ქართული ლეგენდა «თოთინო»") ძირითად მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს. იგრძნობა, რომ ამ სტუდენტისათვის არ არის უცხო აუდიტორიის წინაშე დგომა, გარკვეული და ლოგიკური მსჯელობა. იგრძნობა უფრო მეტი და მთავარი: მას ეხერხება წერა, ლიტერატურის დამუშავება და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამიტომ არც კათედრის წევრებისათვის, არც იქ დამსწრე სტუდენტებისათვის არ იყო მოულოდნელი ის მაღალი შეფასება, რომელიც ამ ნაშრომს მისცა კათედრის გამგემ პროფ. დ. კობიძემ. ამ შეფასებისას მან ახსნა მიზეზიც ასეთი წარმატებისა. ეს გახლავთ ის, რომ თ. გორელიშვილი წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა აღმოსავლური ფილოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. სწორედ აქ ისწავლა მან, პირველყოვლისა, სათანადო ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძებნა და დამუშავება. აქ დარწმუნდა ის, რომ სერიოზული თემის მომზადება არ შეიძლება არც რამდენიმე დღეში და არც რამდენიმე კვირაში. წრეში მიიღო მან მსჯელობისა და კამათის ჩვევები; მიღებული შენიშვნები აიძულებდნენ მას ორჯერ და სამჯერ გადაეკეთებინა თავისი ნაშრომი. სწორედ ასეთი გზა განვლო მისმა საკურსო შრომამ და მიიღო ღირსეული შეფასება — „ფრიადი".

ჩვენ ამ ერთეულ შემთხვევაზე შევჩერდით არა მისი რაიმე განსაკუთრებულობის გამო. იგი უბრალოდ იძლევა ზოგი ნათელი (სამწუხაროდ, არა ყველასათვის) დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. მაგალითების მოტანა კიდევ ბევრის შეიძლებოდა. აი საკურსო შრომას იცავს III კურსის სტუდენტი ნ. ჩხეიძე. მისი თემა ასეთია „ზოგიერთი შენიშვნა «გულისტანისა» ქართულ თარგმანზე". მსგავსი თემების დამუშავება არაა იშვიათი სპარსული ფილოლოგიის კათედრაზე. ეს თემები სტუდენტებს აიძულებენ კიდევ უფრო ღრმად გაეცნონ სპარსულ ტექსტებს, ამავე დროს კრიტიკულად შეაფასონ არსებული თარგმანები. მაგრამ ხშირად სტუდენტი ამ ვიწრო მიზნით იფარგლება. სამეცნიერო წრეში მუშაობამ, თვით ამ თემის პირველადი სახით წრეზე წაკითხვამ დაარწმუნა ნ. ჩხეიძე, რომ საჭირო იყო უფრო ფართოდ გაეშალა ნაშრომი. იგი არ შემოიფარგლა თარგმანის მხოლოდ თეორიული საკითხების შესწავლით. თავის შრომაში მან მოგვცა ცნობები მთარგმნელისა და ამ თარგმანის ისტორიის შესახებ, გაითვალისწინა სხვა ენებზე არსებული თარგმანებიც. დიდი დახმარება გაუწია მას წრეში მიღებულმა შენიშვნებმა. ბუნებრივია, რომ ასეთი მუშაობის შედეგად წარმოდგენილმა, საკურსო შრომამ აგრეთვე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

წრეში მუშაობის შედეგს წარმოადგენდა III კურსის სტუდენტის ლ. ფარულავას საკურსო შრომა „«როსტომიანის» სპარსული ლექსიკა". იგი არ დაკმაყოფილდა მაგალითების უბრალო აღნუსხვით. მთელ რიგ შემთხვევაში მომხსენებელი იძლევა ეტიმოლოგიებს, ზოგჯერ საკუთარ საინტერესო დაკვირვებებს. საინტერესოა მის მიერ ლიტერატურის გამოყენება: მრავალ გამოქვეყნებულ შრომასთან ერთად მან გაიცნო და დაამუშავა დაუბეჭდავი ხელნაწერები. მისი უდავოდ მაღალი ხარისხის საკურსო შრომა „ფრიადზე" შეფასდა.

ასევე წარმატებით დაიცვეს საკურსო შრომები მ. მოდებაძემ („ნ. მარი «მაჭნამეს» გამლექსავების შესახებ"), ვ. კეკელიშვილმა („შედარება-მეტაფორები «შაჰნამეში»"), ლ. ასათიანმა („სპარსული იდიომები «თუთი-ნამეს» მიხედვით") და სხვ.

მაგრამ ყველას ასეთი წარმატებით როდი დაუცავს საკურსო შრომები. ნიშანდობლივია, რომ წარუმატებლობა წილად ხვდათ სწორედ მათ, ვინც არაფერს აკეთებდა სამეცნიერო წრეში. მხოლოდ ერთი-ორი წიგნის ნაჩქარევი დაკონსპექტება და მისი დალაგება საქმეს ვერ შველის. სუსტი იყო მათი როგორც წერითი, ისე ზეპირმეტყველების კულტურა. მათი უმრავლესობა მხოლოდ შრომის შინაარსის მოყოლით კმაყოფილდებოდა. ცხადია, ამის გამო ეს სტუდენტები (მ. სარქისოვა, ლ. სეფიაშვილი, ნ. შავგულიძე და სხვ.) მაღალ შეფასებას ვერც დაიმსახურებდნენ. მათ დროზე უნდა გააკეთონ დასკვნები.

ზ. ალექსიძე

სურათზე: საკურსო შრომების დაცვა ეთნოგრაფიაში პროფ. გ. ჩიტაიასთან. საკურსო შრომას იცავს ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი მ. გრატიაშვილი.

ფაკულტეტი გამოცდების წინ

გასული წლების მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებისა და რექტორატის მითითებების შესაბამისად იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დროულად დაიწყეს მზადება საზაფხულო საგამოცდო სესიებისათვის. მხედველობაში იქნა მიღებული ის ნაკლოვანებებიც, რომლებმაც განაპირობეს ფაკულტეტის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დაბალი დონე (85,5 %) მიმდინარე სასწავლო წლის ზამთრის სესიებზე.

ფაკულტეტმა გვიჩვენა, რომ, როგორც წესი, გამოცდებზე სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ და დაბალ შეფასებას იღებენ ის სტუდენტები, რომლებიც სემესტრის მანძილზე ხშირად აცდენენ მეცადინეობას და მოუმზადებელი ცხადდებიან სემინარებზე. ამიტომ დეკანატისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება მიმართული იყო სტუდენტთა მხრივ ლექცია-სემინარების არასაპატიო მიზეზით გაცდენების აღმოსაფხვრელად. ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შედეგად, გასულ სემესტრთან შედარებით, გაცდენების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა გამოსწორებულია. ისეთ მცირერიცხოვან ფაკულტეტზე, როგორიც ჩვენი ფაკულტეტია, არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების რაოდენობა II სემესტრში 1 300-ს აღემატება. ზოგიერთ სტუდენტზე არ იმოქმედა არც ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ, არც ადმინისტრაციული ზომების გატარებამ და არც გასულ საგამოცდო სესიებზე მიღებულმა არადამაკმაყოფილებელმა შეფასებამ; ზოგი კი იმდენად მომზადებულად თვლის საკუთარ თავს, რომ ზედმეტად მიაჩნია ყველა ლექციაზე დასწრება. სწორედ ასეთი სტუდენტები არიან პირველკურსელები ნ. გურგენიძე და მ. მხითარიანი, მეორეკურსელები — თ. ბერდულაძე, კ. გურგენიძე და კ. ბუაძე, მესამეკურსელები — ს. ლომიძე და ა. მესხელიანი, მეოთხეკურსელები — ე. მაჭავარიანი, ა. მიქაუტაძე, გ. ნინუა, მ. რჩეულიშვილი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაცია (ბიუროს მდივანი ბ. კარტოზია) საჭირო ინიციატივას არ იჩენს კომკავშირელ სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარებზე სისტემატური დასწრების უზრუნველყოფისათვის. თუმცა რაღა უნდა ითქვას ამის შესახებ, როცა ფაკულტეტის ალკკ ბიურო და იმ კომკავშირელთა მიმართაც კი არ იღებენ ზომებს, რომლებიც არ მონაწილეობენ კომკავშირული ღონისძიებების ჩატარებაში, არ ესწრებიან კომკავშირულ კრებებს და არ ასრულებენ რაიმე საზოგადოებრივ დავალებას.

ამავე დროს, უკვეთრეშეა, რომ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დასწრებისათვის საგნის ხელმძღვანელ მასწავლებლებს ეკისრებათ. წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ უფრო ხშირად სტუდენტები იმ მასწავლებლის ლექცია-სემინარებს აცდენენ, რომლებიც დაბალ დონეზე ატარებენ მეცადინეობას, არ აწარმოებენ ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას, ანდა კიდევ, რომლებიც ცნობილი არიან როგორც ლიბერალი გამომცდელები. ცხადია, თუ ყველა ჩვენი მასწავლებელი აღნიშნულ ნაკლისაგან თავისუფალი იქნება, სტუდენტები ნაკლებად გააცდენენ მათს ლექციებს და უკეთესად მომზადებულნი მოვლენ გამოცდებზე. სწორედ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა ამასწინათ ჩატარებულ ფაკულტეტის ღია პარტიულ კრებაზე და სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, სადაც დასახულ იქნა ღონისძიებები სტუდენტთა მიმართ მომთხოვნელობის გაზრდის მიზნით.

როგორც პარტორგანიზაციის კრებაზე, ისე სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე აღინიშნა გამოცდების დროს ლიბერალიზმის წინააღმდეგ შეუდრეკელი ბრძოლის წარმოების აუცილებლობა. სტუდენტებს ერთხელ კიდევ განემარტათ, რომ გამოცდებზე ნიშნის დაწერის დროს მხედველობაში არ იქნება მიღებული რაიმე სხვა გარემოება, გარდა მათ მიერ გამოვლინებული ცოდნისა და მომზადებისა. კრებაზე მკაცრად იქნა დაგმობილი ის მანკიერი და სრულიად შეუწყნარებელი მოვლენა, როდესაც სტუდენტი აწარმოებს ნიშნის, ასე ვთქვათ, „გამოძალვას" სხვადასხვა ხერხით (ტირილი, ხვეწნა, შეკამათება ნიშნის თაობაზე და სხვ.).

გამოცდების მაღალ დონეზე და წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად დროულად იქნა შედგენილი საგამოცდო და საკონსულტაციო ცხრილები. კათედრებმა შეადგინეს და დაამტკიცეს საგამოცდო ბილეთები. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო პროგრამებით. ფაკულტეტის სასწავლო კაბინეტებში შემოღებულია ორცვლიანი მუშაობა და სხვ.

ამასთან, გამოცდებისათვის მზადების ორგანიზაციულ საკითხებში ადგილი აქვს ცალკეულ ნაკლოვანებებსაც. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი ჯერაც არ ჩაწერილა, თუ კონკრეტულად რა რიცხვში სურს გავიდეს გამოცდაზე ამა თუ იმ საგანში. როგორც ვიცით, თვითეული საგნის ჩაბარებისათვის კურსს რამდენიმე დღე ეძლევა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დეკანატმა წინასწარ არ იცოდეს, თუ ვინ როდის აბარებს გამოცდას.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ წინა საგამოცდო პერიოდში ჩვენს სტუდენტებს ნაკლებად ვხედავთ სასწავლო კაბინეტებში, განსაკუთრებით საღამოს საათებში, მაშინ როდესაც ამ კაბინეტებში არსებული ლიტერატურისა და სხვა მასალების დამუშავება მათთვის აუცილებელია.

ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, რაც გამოცდებისათვის სამზადისის პერიოდს ეხება, — ეს არის საკურსო შრომების დაცვების დაგვიანება. ფაკულტეტის კათედრებმა უნივერსიტეტში ყველაზე ადრე დაამთავრეს სადიპლომო შრომების დაცვები. მაგრამ საკურსო შრომების დაცვა ძირითადად უშუალოდ წინასაგამოცდო დღეებში ხდებოდა (სახელმწიფო სამართლისა და სისხლის სამართლის კათედრები), იმ დღეებში, როცა სტუდენტთა მთელი ყურადღება, მათი მუშაობა საგამოცდო საგნების მომზადებისაკენ უნდა ყოფილიყო წარმართული.

ცხადია, აქ პირველ რიგში სტუდენტების უპასუხისმგებლობა იგრძნობა, მაგრამ კათედრებიც ვალდებული იყვნენ ყველა ზომები მიეღოთ, რათა სტუდენტებს დროულად დაემუშავებინათ და დაეცვათ საკურსო შრომები, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ არაერთხელ ყოფილა საუბარი სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე.

ამჟამად ფაკულტეტის მთელი კოლექტივის მიზანია ორგანიზებულად, მაღალი მომთხოვნელობით, ობიექტურობით ჩაატაროს მიმდინარე საგამოცდო სესია.

დოც. შ. ინწკირველი,
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

У филологов русского отделения

★ ★ ★ ★ ★ ★

Молодые голоса

В небольшой аудитории — много народу. Невысокий юноша в черной бархатке читает стихи. Читает он так, как читают только поэты — весь войдя в ритм стиха.

Стихи нравятся. На передней парте с помятыми, исписанными неразборчивым почерком листами в руках, устроились оппоненты. По аудитории из рук в руки переходят эти же стихи, отпечатанные на машинке.

Это идет заседание русского творческого кружка нашего университета.

Сколько споров, сколько различных противоречивых мнений, сколько интересных смелых мыслей рождают эти заседания!

Организованный в конце прошлого года кружок в настоящее время насчитывает более десятка членов. В него входят студенты русского отделения филологического факультета Леван Челидзе, Алексей Нодия, Арсен Еремян, Лео Мамаладзе, Владимир Чимакадзе, Николай Гварамадзе, аспирант Вадим Михайлов и другие. Но кружок не ограничивается только филологическим факультетом. Он заинтересовал даже таких „маститых" поэтов, какими являются студенты V курса физического факультета Глан Онанян и Вильям Хацкевич. Постоянным посетителем кружка стала также молодая поэтесса студентка Педагогического института им. Пушкина Лидия Магистрова.

В этом году было проведено несколько заседаний кружка.

В шумной деловой обстановке прошли обсуждения стихотворений Левана Челидзе, Николая Гварамадзе, Лео Мамаладзе, Георгия Оганезова и обсуждение очерков — бытовых зарисовок Алексея Нодия.

Особенный интерес у студентов вызвало последнее обсуждение, на которое А. Нодия вынес свои очерки „Катер „Гранат", „Об'яснение в любви", „Материнское счастье" и „Безоблачное небо".

Совсем недавно было проведено обсуждение продукции стенгазеты отделения „Литературный листок" (редактор В. Кюркчян).

На обсуждение были вынесены стихи, рассказы, фельетоны, эпиграммы, пародии, напечатанные в стенгазете в этом году.

Расширяются постепенно связи русского творческого кружка с молодыми грузинскими авторами университета. Русские авторы берут стихи грузинских товарищей для перевода и наоборот. Почин в деле перевода в кружке сделали А. Еремян и Р. Яворский.

Ждут, не дождутся члены кружка, когда для них откроются страницы университетской многотиражки и студенческого альманаха „პირველი სხივი". Очень уж хочется им читать свои стихи в напачатанном виде.

Интересно и увлекательно проходят заседания кружка. С каждым днем молодые голоса становятся увереннее, отчетливей, звонче.

Конечно не все члены кружка станут писателями и поэтами. Но это начинание уже тем хорошо, что оно воспитывает в студентах художественный вкус, знакомит их с творческим процессом, даст им многое из того, что необходимо культурному человеку.

Георгий Оганезов.

О работе научного студенческого кружка

Сейчас, когда учебный год уже приблизился к концу, оглянувшись назад, можно подвести некоторые итоги работы нашего студенческого кружка русской литературы.

Эти итоги весьма поучительны. Они свидетельствуют о том, что мы не всегда используем всех возможностей, которые имеются в нашем распоряжении.

Основными формами работы нашего кружка являются, как известно, доклад и оппонентство. В этом учебном году членами литературного кружка было подготовлено и прочитано 12 докладов, многие из которых оказались на высоком научном уровне.

Значительно улучшилось и оппонирование. Так, студентки Л. Браиловская, В. Телия, Л. Ширмазанова не ограничились чтением только лишь докладов, а проработали соответствующую научную литературу, что придало их оппонированию большую содержательность и обоснованность.

Нужно отметить, что, наряду со старшекурсниками, определенных успехов добились в кружке и студенты младших курсов. В частности, на XVIII студенческую научную конференцию были вынесены доклады первокурсниц Л. Санакоевой, С. Цвылевой и Р. Каримовой, получившие положительную оценку как преподавателей, так и студенчества. Доклад С. Цвылевой („Чеховская „Чайка" на сцене МХАТ„) был вынесен в числе других на городскую конференцию. Этот факт говорит о том, что при должном внимании и помощи со стороны кафедр, можно проводить определенную работу среди первокурсников, которые до этого года у нас относились к числу пассивных слушателей.

По инициативе студентов Педагогического института им. А. С. Пушкина, мы провели совместное заседание литературных кружков. Опыт показал, что подобные заседания со студентами других ВУЗ-ов надо проводить как можно чаще, так как они приносят много пользы.

Подобные заседания нужно проводить и в стенах нашего университета. К примеру, многие члены кружка истории грузинской литературы, как и нашего кружка, работают над аналогичными темами, связанными с русско-грузинскими литературными взаимоотношениями. Обмен докладами, оппонентами, наконец, совместные заседания кружков вызовут, как мне кажется, большой интерес среди студентов обоих отделений нашего факультета.

К сожалению, подобное мероприятие выпало из поля нашего зрения. Необходимо, чтобы в будущем оно осуществилось.

Определенную пользу приносят студентам нашего факультета встречи с писателями, литературоведами. В этом году мы организовали встречи с поэтом М. Лукониным, с австрийским поэтом и переводчиком Гуго Гуппертом, с литературоведами Дементьевым, Плоткиным и Б. Жгенти. Совместно с комсомольской и профсоюзной организациями нашего отделения мы обсудили постановку Государственным театром им. А. С. Грибоедова пьесы А. Штейна „Персональное дело". В обсуждении приняли участие постановщик спектакля и артисты театра.

К сожалению, мы прошли мимо такого интересного дела, как обсуждение новинок художественной и критической литературы. А ведь все возможности для этого у нашего кружка имелись. Можно было по примеру студентов Ленинградского университета им. Жданова или Киевского университета им. Шевченко обсуждать не только книги, выпущенные центральными издательствами, но и наиболее интересную художественную или критическую литературу, вышедшую в Тбилиси, привлекая к обсуждению и авторов.

Плохо обстояло у нас и дело организации интересных и полезных экскурсий.

Все сказанное свидетельствует о том, что существует еще очень много неиспользованных форм работы студенческого научного кружка, которые сделают нашу работу еще более привлекательной, живой, интересной и полезной. Новому правлению кружка придется в будущем учебном году проявить немало инициативы для нахождения этих форм и для претворения их в жизнь. От этого будет зависеть и посещаемость кружка и его популярность.

И. Богомолов

председатель научного студенческого кружка русской литературы.

НА ЗАЩИТЕ ДИПЛОМНЫХ РАБОТ

С конца апреля у филологов началась защита дипломных работ. На русском секторе филологического факультета 50 студентов пятикурсников представили работы по русской литературе. Тематика этих работ самая разнообразная. Тут и литература XVIII в., русский фольклор, литература XIX и начала XX в., советская литература, русско-грузинские литературные взаимоотношения, теория литературы. Тут и поэзия, проза, драматургия, критика. Самые различные писатели, периоды и жанры интересуют дипломантов.

Особенно отрадным является тот факт, что кафедра истории русской литературы правильно нацелила внимание студентов на исследование и освещение художественных особенностей того или иного произведения, наряду с выяснением его идейного значения. И хотя в этой области предстоит еще большая работа в будущем, но итоги уже этого года говорят о возросшем уровне студенческих работ.

Конечно, не все студенты отнеслись с должной ответственностью к работе над дипломными темами. Те, кто в течение года работали систематически, естественно, достигли хороших результатов и заслужили высокие оценки. Те же, кто работали, так сказать, в „авральном" порядке, т. е. спохватились лишь в конце года, представили серые, посредственные работы, носящие следы поспешности и недоработанности. Подобных студентов оказалось, к счастью, мало, но все же эти факты в дальнейшем не должны повторяться. Студенты обязаны, наконец, осознать, что лишь в результате добросовестной и систематической работы можно написать полноценный дипломный труд. Членам кафедры русской литературы также следует усилить контроль над выполнением студентами намеченных заранее планов и сроков работы над дипломными темами.

Следует помнить, что при оценке дипломных работ учитывается не только то, как работал студент в течение года и какую работу он представил, но и как ее защищает. Студент должен учесть важность этого момента, подготовиться к защите, а во время защиты — проявить культуру речи, соблюдать правила полемики и т. д.

Результаты защиты дипломных работ этого года оказались хорошими. Из 50-ти студентов-дипломантов 29 получили оценку „отлично", 11 — „хорошо" и лишь 10 — „удовлетворительно".

Лучшими работами этого года единодушно признаны: „Историческая хроника А. Островского „Козьма Захарьич Минин-Сухорук" — И. Богомолова, „Творческие принципы характеристики героев романов И. С. Тургенева" — Д. Штрейхер, „Советская русская детская драматургия" — В. Осинского, „Идейное и художественное значение творчества В. Гаршина" — Л. Осиповой, „Творческие принципы развития сюжета в романах И. С. Тургенева" — В. Островской, „Некрасов в переводах грузинских поэтов" — И. Дадиани, „Незавершенные прозаические произведения А. С. Пушкина" — Н. Нейман и целый ряд других.

Но чем об'яснить тот факт, что такие студенты, как Вашакмадзе, Урдия, Шония, Двоценидзе, Габуния, Элиосидзе и другие получили посредственные отметки? Только безответственным отношением к делу. При этом Вашакмадзе „отличилась" и своим поведением на защите. Все это свидетельствует о том, что некоторая часть нашего студенчества не со всей серьезностью относится к работе над дипломными темами.

Для более четкого проведения защиты дипломных работ и для поднятия ответственности студентов было бы хорошо, чтобы ректорат, твердо и окончательно устанавливая сроки проведения последней защиты, пресекал бы всякие попытки нарушить эти сроки.

Перед пятикурсниками стоит теперь еще более важная задача: сдать государственные экзамены.

А. Павлов.

ფაკულტეტი ეხმარება სკოლას

მზია რამიშვილმა ერთი წელია რაც დაამთავრა ქიმიის ფაკულტეტი და მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის საშუალო სკოლაში იქნა განაწილებული ქიმიის მასწავლებლად.

იგი ჩვეული ენერგიითა და მონდომებით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას და უდიდესი მზრუნველობით მოჰკიდა ხელი თავისი საყვარელი საგნის სწავლებას.

მაგრამ ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა ქიმიის კაბინეტის მოუწყობლობა. სასკოლო შენობის დაწვის შედეგად ახლად აღდგენილ კაბინეტში არ იყო საჭირო ხელსაწყოები, ჭურჭელი, ქიმიკატები და სხვ.

მზია როგორც ამ საგნის მასწავლებელი, რა თქმა უნდა, პირველი უნდა დაინტერესებულიყო ამ საქმით და ასეც მოხდა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქიმიის ფაკულტეტის დეკანმა მზია რამიშვილისაგან მიიღო წერილი (ამ წერილის შინაარსი მკითხველებისათვის ცნობილია ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან), რომელშიც იგი მოკლედ აღწერდა კაბინეტის სავალალო მდგომარეობას და ფაკულტეტის დეკანს თხოვდა, რათა ჩვენი უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტს შეძლებისდაგვარად დახმარება გაეწია მისი სკოლისათვის.

ქიმიის ფაკულტეტის დეკანმა უყურადღებოდ როდი დატოვა თავისი აღზრდილი ახალგაზრდა პედაგოგის ეს თხოვნა. პირიქით, დეკანატი და ფაკულტეტის სხვა თანამშრომლები ყოველთვის მზად არიან საქმიანი დახმარება გაუწიონ თავიანთ კურსდამთავრებულებს, რომლებიც კი გულისხმიერად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.

ამჯერადაც ფაკულტეტის დეკანატმა ცხემლისხიდის საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტისათვის გამოყო სხვადასხვა ხელსაწყო, რეაქტივი, ჭურჭელი და ქიმიკატები, რომლებიც აღნიშნულ სკოლას გადაეგზავნა. ამის შედეგად სკოლას უკვე გააჩნია საკმაოდ კეთილმოწყობილი ქიმიის კაბინეტი, რისთვისაც მზია თავის სკოლის სახელით უზომო მადლობას უთვლის თავის აღმზრდელ კოლექტივს, რომელმაც უდიდესი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინა ცხემლისხიდის საშუალო სკოლისადმი.

„ჩვენი სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლებისა და პედაგოგიური კოლექტივის სახელით, — გვწერს მზია რამიშვილი,— მსურს მადლობა გადავუხადო საყვარელ უნივერსიტეტს, განსაკუთრებით კი ქიმიის ფაკულტეტის თანამშრომლებს იმ მართლაც მშობლიური მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რომელიც ჩვენი სკოლისა და პირადად ჩემს მიმართ გამოიჩინეს.

თვითეული მათგანის გულთბილი შეხვედრა, მათ მიერ გაწეული მატერიალური დახმარება ქიმიის კაბინეტის მოწყობისათვის, მათ მიერ დახარჯული ენერგია საჭირო ხელსაწყოებისა და რეაქტივების შეგროვებისათვის, დაუვიწყარი სამსახურია ჩვენი სკოლისათვის და პირადად ჩემთვის, არა მარტო იმიტომ, რომ იგი აუცილებელი იყო სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების დანერგვისათვის, არამედ იმიტომაც, რომ მათს მოქმედებაში ჩანდა თანაგრძნობა და ის ნაზი სიყვარული, რომელსაც მხოლოდ მშობლიურ კერასთან განიცდიან. მათს ქცევაში იგრძნობოდა კეთილშობილება, იგრძნობოდა, რომ უყვართ ჩვენი ახალგაზრდობა, უნივერსიტეტის აღზრდილები და მათი მომავალი აღსაზრდელებიც".

ზ. ხამსონაძე

სპორტის ამბები

უნივერსიტეტის სპორტსმენთა წარმატება

დამთავრდა საქართველოს სსრ სპარტაკიადის ფინალი, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

სპარტაკიადის ფინალში მონაწილე 2200 სპორტსმენს შორის დედაქალაქის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სპორტსმენებიც — სტუდენტები, ლაბორანტები, მასწავლებლები, რომელთა უმრავლესობამ სპორტის სხვადასხვა სახეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და ბევრმა მათგანმა რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდებაც მოიპოვა.

განსაკუთრებით კარგი შედეგები უჩვენეს უნივერსიტეტელმა მოჭიდავეებმა, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ჩიტიაშვილმა (კლასიკური ჭიდაობა), ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელმა ზ. დენტოშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა), ლაბორანტმა ს. მაისურაძემ და ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებმა თ. ელერდაშვილმა და გ. ჩიკვილაძემ (ქართული ჭიდაობა), რომლებიც თავიანთი წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ.

კარგი მომზადებით წარდგნენ სპარტაკიადაზე ჩვენი უნივერსიტეტის მძლეოსნები — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი მ. ქოჩლაძე, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ც. თეთრაძე და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გ. ჩადუნელი.

მ. ქოჩლაძემ 80 მეტრზე თარჯებში საუკეთესო შედეგი 11,3 წამი აჩვენა და ამით რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა. მას 0,7 წამით ჩამორჩა ც. თეთრაძე, რომელიც მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია გ. ჩადუნელის წარმატება, რომელმაც ბადროს ტყორცნაში დამსახურებული პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო ბირთვის კვრაში—მეორე საპრიზო ადგილი.

სპარტაკიადაზე ძალოსნობაში დამყარებული 4 რესპუბლიკური რეკორდიდან ერთი ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს ტ. წერალოვს ეკუთვნის, ხოლო ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელმა ნ. ფერაძემ მჩატე წონაში 285 კგ შედეგით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

სატირა და იუმორი

„მეგობრები"

„იფუქე თავისთავი ზღვას რომ მაღლა იწევს მძიმე თავთავი თავდახრილია..."

— ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ ვიზე და რატომ არის ნათქვამი ეს სიტყვები,—ადამიანზე,—ხომ სწორია?

მართლაც, რამდენ თავმდაბალ ახალგაზრდას ნახავთ ქვეყნად! მათ ჩვეულებრივ თავდახრილი სიარულიც უყვართ, მაგრამ, აი, თქვენ შენიშნავთ ჩვენკენ მომავალ წითელკაბიან ქალიშვილს. უნდა გითხრათ, რომ მას ძალიან ხშირად უყვარს თავის დაბლა დახრა. თქვენ ალბად მიხვდით, რომ მის თავმდაბლობაზე მინდა გესაუბროთ... აბა მივუახლოვდეთ...

— პატარა სარკისკენ დახრილი ქალიშვილი თავის ორეულს მეტად თავაზიანად უღიმის. ეს უკვე მის თავმდაბლობაზე ლაპარაკობს. ეს წითელკაბიანი ქალიშვილი ფილოლოგიის ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტი თინათინ ტაბიძე გახლავთ. მე მას მხოლოდ შორიდან ვიცნობ. „ბოროტი ენები" ამბობენ, მას მეგობრები არა ჰყავსო, რაც აშკარა ტყუილია. თინათინს ძალიან კარგი და ერთგული მეგობარი ჰყავს, მათ შორის საოცარი მსგავსებაა. გეგონებათ ერთი დედმამის შვილები არიანო. მათ ურთმანეთოდ ყოფნა ვერ წარმოუდგენიათ, სულ თვალებში შესციცინებენ ერთმანეთს, აღტაცებული არიან ერთმანეთით და კარგადაც უგებენ ერთი-მეორეს. აბა დააკვირდით თინათინს, როდესაც იგი სარკეში თავის მეგობარს უცქერის. რამდენი აღტაცება, ლმობიერება, სიყვარული და სინაზე გამოსჭვივის მის თვალებში. ასევეა აღტაცებული თინათინით მისი სარკის მეგობარი. იშვიათად შეხვდებით სადმე ასეთ ამაღლევებელ მეგობრობას, ისინი განუყრელნი არიან ყველგან, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი სტუდენტია, ხოლო მეორე რატომღაც არ სწავლობს, ისინი ლექცია-სემინარებზე მაინც ერთად დადიან.

ერთნაირია მათი გემოვნებაც. ამაში მე მაშინვე დავრწმუნდი, როცა ერთ მშვენიერ დღეს მისი ოდესღაც შავი თმები წითლად შეფერილი ვნახე (იქნება სირცხვილისაგან) თინათინი ბევრს თურმე არასოდეს ლაპარაკობს (რა თქმა უნდა პრაქტიკულ მეცადინეობაზე). ამბობენ, ლექტორის შეკითხვებზე მისი ყველაზე საუკეთესო პასუხი დუმილიაო. რა გულმშვიდი ქალიშვილია! აღელვებული არასოდეს მინახავს. არც ახლა ვხედავ, რომ თავს ცუდად გრძნობდეს, როდესაც მის მატრიკულს არავინ ეკარება იმ ბედნიერი სიტყვის ჩასაწერად, რომელსაც — „ჩაეთვალა" ეწოდება.

ამ მხრივ თინათინს, დიახ, ცუდად აქვს საქმე, მაგრამ სარკის მეგობარი კვლავ აუღელვებლად და დამშვიდებული ღიმილით უცქერის. იქნებ შეცდა თინათინი თავის სარკის მეგობარში?! თუ არა და რად არ გააფრთხილა მეგობარმა, რომ მთელი წლის განმავლობაში ლექციებზე ყოფნას, მაგრამ არაფრის მოსმენას, სემინარების მოუმზადებლობას, მხოლოდ გართობაზე და ჩაცმაზე ფიქრს ეს შედეგი მოჰყვებოდა?!

...აბა, რა მისი ბრალია, მაგრამ სადღა იყვნენ მისი ჯგუფის სხვა ამხანაგები? ნუთუ მათ არ შეეძლოთ ცოტათი მაინც დაეინტერესებინათ თინათინი სწავლით, თუმცა, თუ ეს ინტერესი არ გააჩნდა, რატომღა შემოდიოდა უნივერსიტეტში?

კალმისწვერაძე

საინტერესო არქეოლოგიური ძეგლები

ამ დღეებში ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ელიზბარ ხარიშვილმა ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის კაბინეტს გადასცა ადიგენის რაიონის სოფელ უდეში არხის გაჭრის დროს მოქალაქე დ. მაქანდარაშვილის მიერ შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები: ცული, სარტყელი, ბალთა, ისრისა და შუბის პირები. მეცნიერ-არქეოლოგების აზრით ეს კომპლექსი მიეკუთვნება ბრინჯაოს ხანას და მეტად საყურადღებო მასალაა. აღნიშნული ნივთები საინტერესოა იმითაც, რომ ძველი მესხეთის ტერიტორია ნაკლებად არის შესწავლილი არქეოლოგიურად და მომავლისათვის დიდ ინტერესს იწვევს ამ მხარის წარსულის საფუძვლიანად შესასწავლად.

სტუდენტ ე. ხარიშვილს სტუდენტისათვის კეთილშობილური საქციელისათვის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა.

ნ. ხოსიტაშვილი

სურათზე: სოფელ უდეში ნაპოვნი ბრინჯაოს ხანის ნივთები.

კონკურსის შედეგები

როგორც მკითხველებმა იციან, ჩვენმა გაზეთმა გამოაცხადა საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნის საპირველმაისო კონკურსი (იხ. „ახალგაზრდა სტალინელი", 28/IV—1956 წ. № 12.)

კონკურსისათვის წარმოდგენილი ამოცანებისა და ეტიუდების პასუხები ასეთია:

ამოცანა № 1.
1. მa7! ~ 2. ლb5×; 1... მი ~ 2. ეd5×; 1... მe3! 2. d4× 1... მ : b6! 2. ლa3×; 1... მd6 2. ეc7×.

ამოცანა № 2.
1. ლe5! ცუგცვანგი. 1... მეb3 2. ლc3+ მეa2 3. ლc4×; 2...მეa4 3. ლb4×, 1... a5 2. ლd5 b5 3. ლd1×; 1... b5 2. ლc3 a5 3. ლc2×.

ამოცანა № 3.
1. კd2! კh8! (მცდარი იყო 2. კe3) 2, კc3 f6 3. კa5! კg7 4. მ : g7×.

ეტიუდი № 1.
1. კe1! ლe3! (1. ლ : e5 2.კf2 ლ : f2 პატი) 2. კg3!! მეb6! (2... ლ : g 3. ეa5+ მუდმივი ქიშით a — ვერტიკალზე, რადგან ეტლის აღების შემთხვევაში პატია) 3. ეc2!! ლ:g3 4. ეb2+ მუდმივი ქიში მეორე ჰორიზონტალზე.

ეტიუდი № 2.
1.e5! მc6 2. ed! მ : d8 3. dc მb7! 4. cეე! (4. cლ?—პატი) 4... მ : a5 5. ეc5 მb7 6. ეc6×.

საკონკურსო ამოცანებისა და ეტიუდების საუკეთესო ამოხსნები გამოგზავნეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტმა ა. თაყაიშვილმა (20 ქულა), გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტმა ლ. მიქაიამ (19 ქულა), ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ნ. მიქაუტაძემ (16 ქულა) და სხვ.

ჟიურის გადაწყვეტილებით კონკურსში პირველი სამი გამარჯვებული მონაწილე (ა. თაყაიშვილი, ლ. მიქაია, ნ. მიქაუტაძე) დაჯილდოებული არიან ფასიანი საჩუქრებით და სიგელებით.

ჩინური ანდაზები

ყველაზე მაღალი კოშკიც მიწიდან იწყება.

როცა წყალს სვამ, ჭის ამომთხრელიც არ დაივიწყო.

შეიძლება თავმდაბალი იყო, ბრძენი კი არა, მაგრამ არ შეიძლება იყო ბრძენი, თუ თავმდაბლობა არ გახასიათებს.

ცოდნა ის საუნჯეა, ყოველთვის თან რომ სდევს მას, ვისაც იგი გააჩნია.

მზეს კი არა, საკუთარ თავს დააბრალე, თუ შენი ბაღი არ გაიფურჩქნა.

ზეცას ვინც ჭიდან შეჰყურებს, იგი ცოტას ჰხედავს.

გველი რომ ბამბუკის ჯოხში შეაძვრინო, იქაც დაიწყებს კლაკნას.

ნამდვილი მეგობრობა—ეს სუფთა წყალია, თაფლი კი — ყალბი მეგობრობაა.

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-23-60.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 04578